საკრებულოს წევრის საქმიანობის
წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: **ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **ნატალია ძიძიგური**

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: საკრებულოს წევრი

ფრაქციის წევრობა: **უფრაქციო დამოუკიდებელი წევრი**

კომისიის (კომისიების) წევრობა: **ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია;**

ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხთა კომისია;

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): **პროპორციული წესით**

საანგარიშგებო პერიოდი: **2024 წელი**

განხორციელებული საქმიანობები:

1. **საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი:** სულ გაიმართა **11** სხდომა და ყველა სხდომას ვესწრებოდი;

2. **საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:** **16754** საკითხი;
3. **საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:** საკრებულოს სხდომის ოქმებში ასახულია კონკრეტული საკითხების მიმართ ჩემი პოზიცია.
4. **საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:**
   ჩატარდა ინფრასტრუქტურის კომისიის 12 სხდომა, ყველა სხდომაში მივიღე მონაწილეობა;
   ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის 10 სხდომა ჩატარდა, ყველა კომისიის სხდომას ვესწრებოდი ;
5. **კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:**
   ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე განხილული იყო 92 საკითხი;
   ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიაზე განვიხილეთ 11 საკითხი;
6. **საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:**
   ჩემს მიერ ორივე კომისიის სხდომაზე განხილული საკითხები იყო მხარდაჭერილი, ამავდროულად მქონდა რიგი შენიშვნები და მოსაზრებები რაც გათვალისწინებული იქნა;

7. **ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები:**
სეხელმწიფო და შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშების შესაბამის კომისიებზე განხილვა, შედგომი რეაგირებისთვის, საკრებულოში მოქალაქეების ჩართულობის გასაზრდელად ე.წ. ღია კარის დღის გააქტიურება.

8. **მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:**
ყოველ სამუშაო დღეს , თემატური შეხვედრები ;

9. **ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა:**
100 ადამიანამდე და სატელეფონო კომუნიკაცია.

10. **მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:**

სოციალური და ჯანდაცვის საკითხებში გარკვევა და მხარდაჭერა, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების გააქტიურება, ამასთან მოქალაქეების უსაფთხოების წინაპლანზე წამოწევა , ქუჩების და გზების რეაბილიტაცია, საპარკინგე სივრცეების სიმწირე, არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ -ჰიგიენური მდგომარეობა ქალაქში, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის დროს. გონივრული და პრაგმატული მიდგომა მრავალსართულიანი მშენებლობების მიმართ, ძველი ბათუმის იერსახის შენარჩუნება, შეჩერებული მშენებლობების ათვისება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქალაქის გამწვანებითი ღონისძიებების გაძლიერება. შემოერთებული ტერიტორიების კეთილმოწყობა საგზაო, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების გამართვა, ამას გარდა შუქნიშნების გამართული ფუნქციონირება, ტროტუარების კეთილმოწყობა, ხეების და მცენარეების დარგვა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა რიგ მიმართულებებით, ავტობუსის გაჩერებების არ არსებობა ხალხმრავალ ადგილებში და მათი შეკეთება-გამოცვლის პროცესის დაგვიანებით განხორციელება. გარევაჭრობაზე კონტროლის გაძლიერება.

11. **სხვა განხორციელებული საქმიანობები** :

გახლავართ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი სამი კომისიის წევრი:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერი“ს ფარგლებში შესარჩევი კონკურსის კომისიის წევრი.
2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსები“ს ფარგლებში შესარჩევი კონკურსის კომისიის წევრი.

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში შესარჩევი კონკურსის სამუშაო ჯგუფის წევრი .

ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

შედეგი, ეფექტი:

ყურადღება გასამახვილებელია- საჯარო მართველობის ეფექტურობაზე,პოლიტიკურ პლურალიზმე გადაწვეტილების მიღების პროცესში, დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვნად შესრულებაზე, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების მიერ წლიური ანგარიშების მოსმენა, განხილვა, არის თუ არა უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა სწორად განაწილებული, რათა შეძლონ დასახული მიზნების ეფექტურად და პროდუქტიულად მიღწევა, საჭიროების შემთხვევაში მათი ოპტიმიზაცია, მოქნილი ფინანსური და მენეჯერული სტრუქტურის დანერგვა საჯარო სერვისების წარმატებით მიწოდებისთვის.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

ადგილობრივი თვითმმართველობამ უნდა განახორციელოს ეფექტიანი მმართველობა კვალიფიციური საჯარო მექანიზმის არსებობით. მუნიციპალიტეტი უნდა იყენებდეს ყველა რესურს, რათა გაზარდოს საკუთარი შემოსავლები და საბოლოო ჯამში შესაბამის დონეზე პოზიციონირებდეს სამთავრობო ურთიერთობებში. მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ინკლუზიური, გამჭირვალე და მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობა.

საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში გასაძლიერებელია კონტროლი და ზედამხედველობა საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე, სასურველია მოხდეს არსებული სიტუაციის გაანალიზება, პრობლემების, სუსტი და ძლიერი მხარეების აღმოჩენა შემდგომი რეაგირებისთვის.

საჭიროა ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში უცხოელი და ადგილობრივი სპეციალისტების მოწვევა, დაუსრულებელი მშენებლობების აღწერა/მონიტორინგი შემდგომი რეაგირებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია უკანონო მშენებლობების აღკვეთა.

ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების აქტიურად განვითარება- საგზაო, ქუჩების და ტროტუარების კეთილმოწყობა, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების გამართვა, გამწვანება და ამ ტერიტორიის თანამედროვე სტანდარტაბის შესაბამისი ურბანული განვითარება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტის პროგრამული ნაწილის მიმართ გასაძლიერებელია მონიტორინგის, შესრულების და შეფასების მექანიზმები. მნიშვნელოვანია გაწეული მომსახურების კმაყოფილების დონის ხარისხობრივი ინდიკატორების არსებობით, სწორი, სანდო და ობიექტური უკუკავშირი მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი/განხორციელებული პროექტების დაგეგმვის დროს, რათა უკეთ მოხდეს შედეგების შეფასება. ადგილობრივ მმართველობას მომდევნო საბიუჯეტო ციკლის ფორმირებისთვის უნდა გააჩნდეს უფრო ღირებული და სასარგებლო ინფორმაცია, ამ მიმართულებით რესურსების ოპტიმალური განაწილების ხელშეწყობისთვის.

გასააქტიურებელია ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევების აღსრულების მექანიზმები. პირველ რიგში ეს ეხება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და კაპიტალურ მშენებლობას, გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მოვლა პატრონობას, ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას და ტრანსპორტის შეუფერხებელ გადაადგილებას. დროული, პრაგმატული და ადეკვატური ნაბიჯებია გადასადგამი ქალაქის ტერიტორიაზე ახალი საპარკინგე ადგილების შექმნის მიზნით.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის პროგრამების შესრულების მონიტორინგის გაძლიერება. ეს ეხება მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობას, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარულ მონიტორიგს, ქალაქის დასუფთავების მომსახურების განხორციელებას, ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფას, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოებას.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ოპტიმიზაცია, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური განკარგვა, დელეგირებული უფლებამოსილებების ეკონომიკური ეფექტიანობის გაუმჯობესება წარმატებული საჯარო მმართველობის ქვაკუთხედია.

პატივიცემით,

ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი
ნატალია ძიძიგური
15.11.2024 წელი